17338

მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 9—10 1883—1910 წ. ივლისი 31

შინაარსი.

სალიტერატურო განყოფილება: რატომ არის ასე გაძნელებული საღმრთო და საეკკლესიო ღვთის მსახურების წიგნების ბეჭდვის საქმე ჩვენში? დეკ. დ. დამბაშიძისა.—ვასილ ნიკოლოზის ძე ჩერქეზიშვილის დასაფლავება.— ფინლიანდიის კანონ პროექტი სახელმწიფოს სათათბირო და საბჭოს მიერ მიღებული,—ხალხის შესასწავლად.—უჟრნალ გაზეთთაგან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანოზრივ სარწმუნოებასა და **კეთილ ზნეობაზე**: გარდამოსვლა სულისა წმიდისა.—განცხადებანი

რატომ არის ასე გაძნელებული საღრმთო და საეკკლესიო ღვთის მსახურების წიგნების ბეჭდვის საქმე ჩვენში?

გაგრძელება[1])

ყველანი ფიქრობდენ, რომ ჩვენი საღრმთო და საეკკლესიო წიგნების ბეჭვდის საქმე გაუმჯობესდებოდა კანტორის ხელში, მაგრამ ყველანი მოტყუვდენ. ჟამნი, რომელიც მოსკოვში დაბეჭდილი შვიდ აბაზად იყიდებოდა თფილისში დაბეჭდილი კანტორის თაობით დაიწყეს ყიდვა ორ მანეთად და 80 კაპეიკად, კონდაკი, რომელიც წინეთ მანეთად და ორ აბაზად იყიდებოდა კანტორიდან ყიდულობდენ ორ მანეთზე მეტად. ყველა წიგნებს მოუმატეს ფასი. უბედურება იყო, რომ ფასების მომატებამც არა უშველა რა საქმეს. 1885 წელში დაიბეჭდა ჟავნი და სხვა საჭირო წიგნები. ყველა დაბეჭდილი გამოაწერიეს, უნდოდათ თუ არა, ქართლ-კახეთის ეკკლესიებს, თითო ეკკლესიას ორ-ორი ეკზებპლიარი და ამით დახარჯული ფულებიც მალე აიღეს და სარგებელიც. მაგრამ დანარჩენნი ეპარქიის სამღვდელოებას სრულებით აღარ შეეძლო ჟავნის ყიდვა. 1885 წლიდამ უკანასკნელ 1898 წლამდე აღარსად არ იყიდებოდა ჟავნი და კონდაკი. .

ყოველ ადილას გაუჯობესდენ სტამბები, ყოველ ადგილას გაიეფდა და გაადვილდა წიგნების ბეჭვდის საქმე. ჩვენში კი უფრო და უფრო გაძნელდა და გაძვირდა. რამ გააძვირა და რამ გააძნელა წიგნების ბეჭვის საქმე ჩვენში? გაბედულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ წიგნების ბეჭვდის საქმე გააძნელა და წიგნების ფასებსაც ფასი მოემატა იმიტომ, რომ კანტორამ წიგნების ბეჭვდის საქმე ვერ დააყენა რიგიანად. ყველაზე დამნაშავე კანტორაში ამ საქმეში იყო პროკურორი, რომელიც წიგნების ბეჭდვის საქმეს განაგებდა სპარსეთის შახის კანონებით. ამ პროკურორს აუცილებელ საჭიროდ მიაჩნდა, რომ საღმრთო და საეკკლესიო წიგნები დაბეჭდილიყო ხელაძისაგან. დაკანონებული იყო ყველა

*) იხილე „მწყემსი“ № 7—8

წიგნების ბეჭდვა ხელაძის სტამბაში. წიგნების ფასის მომატება ამ პროკურორს არ აწუხებდა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ვერც ერთი მღვდელი კრინტს ვერ დასძრავდა წგინების სიძვირეზე.*)

უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის წინადადებისამებრ სინოდალნი კანტორის პროკურორი ანდრეევი დათხოვნილ იქმნა შტატგარეთ. ეს დათხოვნა მოხდა საქართველოს ექსარხოსის მთავარ ეპისკოპოსის პალლადის წერილების გამო, რომელ წერილებში ობერ-პროკურორს აცნობა პროკურორის ანდრეევის მოქმედება შესახებ ძვირფასი ქვების დაკარგვისა მარტვილის და შემოქმედის მონასტრის ხატებიდან. პროკურორი ანდრეევი ოფიციალურად შეურიგდა ერთ ვინმე საბინგუს ამ ხატების განახლებაზე და ვერცხლის ზოდიც მისცა ამ საბინგუს ორ და სამ ღეროვანი შანდლების გასაკეთებლად. ანდრეევი ურიგდებოდა საბინგუს იმ პირობით, რომ უფასოდ უნდა გაეახლებია ეს ძვირფასი ხატები და თუ საჭიროდ დაინახავდა საბინგუსი შეეძლო ძვირფასი ქვების მაგიერ ყალბი ხელოვნური რამ გაეკეთებინა და ამისათვის მას პროკურორი პასუხს არ მოსთხოვდა. როცა უვაროვის ქალმა ეს ძვირფასი მედალიონები ნახა კერძო პირების ოჯახში და მიხვდა საიდანაც იყო წაღებული განრისხდა და მთელი სამღვდელოება საექსარხოსოისა გალანძღა. ექსარხოს პალლადის მისწრეა წერილი და ეკითხებოდა: „როდის დასრულდება ქართველთ სამღვდელოებისაგან ძვირფასი ნაშთების, თვლების და ხატების ქვების და მედალიონების ცარცვა გლეჯაო? „ეს წერილი გადმოგვცა ჩვენ დასაბეჭდად, მაგრამ „მწყემსში“ ჩვენ ეს წერილი არ დავბეჭდეთ. ჩვენ ვაცნობეთ საბინგუსთან შეკრული პირობა პროკურორისა ხატების განახლების შესახებ და ანდრეევიც დაითხოვეს. მაგრამ ძვირფასი ნივთები მისი დათხოვნით უკან არ დაბრუნებულა. ბოდიშს ვითხოვ მკითხველთან, რომ ჩვენ კითხვას გადავცდით.

შემდეგ ანდრეევისა პროკურორად დაინიშნა დიდხანს ნამსახური კანსისტორიის მდივნად მყოფი და თავის დროზე, მართლა, სახელ განთქმული კაცი. ბევრ რამეს მოველოდით ყველანი ამ კაცისაგან პროკურორობის დროს. მეც სხვათა შორის გამოვეცხადე ამ კაცს და მიულოცე საპატივო თანამდებობის მიღება. შემდეგ გავაცვნე ჩვენი სამღვდელოების ზოგიერთი საჭიროება და იმედი გამოვაცხადე, რომ იგი მიაქცევს ყურადღებას და აასრულებს სამღვდელოების მოლოდინს. ბოლოს დაწვლილებით უამბე ჩვენი საეკკლესიო წიგნების გაძნელებული ბეჭდვის საქმე და ვსთხოვე, რომ იგი როგორც დიდი ხნის გამოცდილი კაცი წიგნების ბეჭდვის საქმეს დააყენებს რიგიანად. ყველა ჩემს სიტყვებზე იტყოდა ხოლმე—очень пріятно! დიდათ სასიამოვნო არისო! არ დამიტოვებია არც ერთი კითხვა, რომ არ მომეხსენებიოს და არ მეთხოვოს მათზე ყურაღღების მიქცევა. ისიც, სასიამოვნო იქნებოდა თუ სამწუხარო რამე, ყველაზე მეტყოდა ხოლმე: очень пріятно-ვო. ამ სიტყვებმა ცოტა ეჭვში შემიყვანეს და გავჩუმდი. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ პროკურორმა მითხრა: „ეს ყველა არაფერია, შეიძლება გასწორდეს, მაგრამ ვერ გამიგია რატომ არის, რომ აქ ყველას გვარი თავდება შვი—შვი—შვი—შვილით და ძძ-ით, რატომ გვარებს არ აბოლოებენ ოგით და ეგით?“ მე გავოცდი და მოვახსენე: შვილი და ძე სწორედ იმას ნიშნავს რასაც ნიშნავს ეგი და ოგი რუსულად. ამის მეტი ხმა აღარ ამომიღია. პროკურორიდან წამოსული გამოვეცხადე ექსარხოსს პალადის, რომელიც აქებდა ამ პროკურორს სანამ მოვიდოდა აქ. გაბებულად მოვახსენე პალლადი..

—მე გახლდით ახალ პროკურორთან და მისმა მსჯელობამ გამაოცა მეთქი.

—დიაღ, მეც შევნიშნე რაღაცა ახირებული მსჯელობა, მაგრამ ეს კავკასიის სიცხის ბრალია. მე ვფიქრობ, რომ აქაურმა სიცხემ იმოქმედა მასზე ცუდათ, ბრძანა პალლადიმ.

ამ პროკურორმა მიიღო დეისტვიტელნი სტატსკის სოვეტნიკობა, რადგან კონსისტორიის მდი-

*) ერთ დროს განიზრახეს საპარაკლისო წიგნის დაბეჭდვა. ფასი ამ წიგნის იყო დაკანონებული ერთი მანეთი. გაბედა და მოახსენა პროკურორს ერთმა მღვდელმა გურგენიძემ, რომ თუ ნებას მისცემენ იგი დაბეჭდავს სამ სამ აბაზად ამ საპარაკლისო წიგნს. ამაზედ თხოვნაც შეიტანა პროკურორთან, ეს პროკურორი იყო ანდრეევი. პროკურორმა გურგენიძის თხოვნაზე შემდეგი რეზოლიუცია დაწერა. „გამოეცხადოს მღვდელს გურგენიძეს, რომ მას ნება ეძლევა თავთუხის პურის ქბილისაგან გამოაცხოს ლავაშები და კიდევაც შეუძლია ეს, რაიცა შეეხება საპარაკლისო წიგნების ბეჭდას ეს მისი საქმე არ არის და არც შეუძლია.“

ვანს არ შეუძლია მიიღოს ეს ხარისხი, დაენიშნა გენერალის პენსია და ისეც მეტი, რადგან კავკასიაში იმსახურა ერთი წელიწადი და წავიდა პეტერბურღში, იქ ერთი თვის შემდეგ განისვენა საუკუნოდ...

ჩვენ დავრჩით უპროკუროროდ და წიგნების ბეჭდვის საქმეც ძლიერ შეფერხდა.

დიდ ხანს არ გაუვლია, პროკურორად დაინიშნა ვინმე რუშჩინსკი ობერ-სეკრეტრად ნამსახური სინოდის კანცელარიაში. ეს კაცი პატიოსანი იყო და რასაც შეიძლებდა თავს არ იზოგავდა. ერთ დროს 1894 წელში ქუთაისში სემინარიის გახსნის გამო მოვიდა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგი ვლადიმერ კ. საბლერი. ერთად მოვდიოდით თფილისიდან ქუთაისში. ამ დროს სხვათა შორის დაწვლილებით განუმარტე ის თუ რა აბრკოლებს ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭვდვის საქმეს და ჩემის მხრით მივეცი რჩევა ამ წიგნების ბეჭვდის შესახებ. საბლერმა დაავალა წიგნების ბეჭდვის საქმეში დამკითხებოდა ყოველ-თვის სინოდალნი კანტორის პროკურორი.

მე ურჩიე პროკურორს, რომ წიგნების ბეჭდვა მიეცა ვაჭრობით და მიეცა მისთვის ვინც ნაკლებ ფასებში დაბეჭდავდა. პროკურორმა ყველა სტამბებს გამოუცხადა და მოითხოვა სტამბებისაგან ვინ რამდენ ფასებში დაბეჭდავდა წიგნებს. სტამბებმა განაცხადეს სურვილი რომ ორი მანეთით და მანეთ ნახევრით ნაკლებ დაბეჭდავენ ჩვენს საეკლესიო წიგნებს. თითო წიგნზე მანეთ ნახევრის და ორი მანეთის დაკლება, რასაკვირველია, დიდი საღვთია. როცა ეს ფასები შეიკრიბა სტამბებიდან ე. ხელაძემ ჟავნის და კონდაკის ფასებს, როგორც წინათ ბეჭდავდა მანეთ ნახევრით და ორ მანეთობით დაუკლო. ჟავნის დაბეჭდვა აიღო მანეთ ნახევრად თითო წიგნი თუ ათას ორასზე მეტი არ იქნებაო და თუ მეტი დაიბეჭდება კიდევ უკლებდა ფასს. რუშჩინსკის პროკურორობის დროს დაიბეჭდა ჟავნი, კონდაკი და მარხვანი ხელ მისაწდომ ფასებში, ეს მოახდინა წიგნების ვაჭრობით ბეჭვდის გაცემამ. დარწმუნებული ვარ ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვა უფრო გაადვილდებოდა და გაიაფდებოდა, რომ, პროკურორი რუშჩინსკი დარჩენილიყო ჩვენს კანტორაში, მაგრამ იგი გადაიყვანეს თფილისის კანტორიდან და წიგნების ბეჭდვის საქმეც მიყუჩდა. დღეს ყოველ ადგილას დაეძებენ, კითხულობენ, ერთ ორ ფასს იძლევიან, რომ იშოვნიდენ დავითნს და კურთხევანს, მაგრამ აგერ თითქმის ორი მეტი წელიწადი გადის და წიგნი არსად არ არის. უბედურობა ის არის რომ დღეს აღარც გადამწერები არიან, თორემ გადააწერინებს მაინც კაცი! დავითნი, რომელიც ჩვენში მანეთად და ორშაურად იყიდებოდა და რომელსაც სიხარულით დაბეჭდავენ ათ შაურად, ველარ შოობს კაცი. ასეა გაძნელებული საეკლესიო წიგნების ბეჭდვა. ნიკონის ექსარხოსობის დროს მიმართეს სხვა წეს წყობიდებას ჩვენი წიგნების ბეჭვის შესახებ, რომელითაც ფიქრობენ ჩვენი წიგნების ბეჭდვის საქმის გაადვილებას, მაგრამ ეს უარესად გააძნელებს წიგნების ბეჭდვას. ამაზე შემდეგ.

დეკ. დ. დამბაშიძე.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲐ.

როგორც მოსალოდნელი იყო, განსვენებულ ვასილ ნაკოლოზის ძის ჩერქეზიშვილის დაკრძალვას დიდ ძალი ხალხი დაესწრო. ჯერ ისევ დილით გოლოვინის პროსპექტისა, კიროჩნის ქუჩისა და თვით მიცვალებულის ბინასთან დიდ-ძალი ხალხი ჯგუფ-ჯქუფად დამდგარიყო და ელოდა, როდის გამოიცვლიდა პროცესია. მიუხედავად იმისა რომ დიდ ძალი ხალხი სოფლად და სააგარაკოდაა წასული, მაინც სამგლოვიარო პროცესია მრავალრიცხოვანი იყო. სწორედ დილის 9 საათი იყო, როდესაც მიცვალებულის გვამი სახლიდან გამოასვენეს ქალაქის, გამგეობის წევრებმა. პროცესია გაემართა ელისაბედის ქუჩიდან ქსენიისა, მიხეილისა, კიროჩნისა და გოლოვინის პროსპექტით. გვერდებზე ამქრის წარმომადგენელთ მიჰქონდათ ამქრის ბაირაღები. პირველად მიჰქონდათ ხავერდის ბალიშზე დადებული მოურავის ძეწკვი, შემდეგ

ვერცხლისა და სხვა გვირგვინები. გვირგვინებს მისდევდა ქართული ხორო, ქულაჯებში გამოწყობილი და ექსარხოსის ხორო, შემდეგ ორკესტრი, რომელიც სამგლოვიარო მარშს უკრავდა. იყო გვირგვინები ვერცხლისა, ცოცხალ ყვავილებისა და ლითონისა. კუბო სახლიდან სიონის ტაძრამდე და შემდეგ დიდუბის ეკკლესიამდე ხელით მიჰქონდათ ქალაქის მოსამსახურეთ და პატივისმცემელთ.

ქალაქის თვითმართველობის შენობის წინ, ერევნის მოედანზე პროცესია შეჩერდა, მიცვალებული დაასვენეს და მცირე პანაშვიდი გადუხადეს პროცესია გზა და გზა თან და თან იზრდებოდა. შესახვევში ხალხი ჯგუფ ჯგუფად დამდგარიყო და პროცესია, რომ გაივლიდა ჯგუფები უერთდებოდა. სიონის ტაძართანაც დიდძალი ხალხი შეგროვილიყო. სიონში მწირველი იყო ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი და თანამწირველნი არქიმანდრიტები: ანტონი, დოსითეოსი, პაროსი, სიონის ტაძრის კრებული და ქალაქის სამღვდელოება. იყო აგრეთვე სომხის ეპისკოპოსი, მღვდლები, მონაზვნები და მაჰმადიანთა სასულიერო პირნი. წირვა და წესის აგება დიდხანს გაგრძელდა. წირვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ძღვდელმა ჩეკურაშვილმა, დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გურამიშვილმა და ეპისკოპოსმა გრიგოლმა. ჩეკურაშვილმა მშვენიერ სიტყვაში აღნიშნა; რომ სიონის ძველი ტაძარი, ეს ქართველი ერის დიდება—უბედურების მოწამე უკანასკნელ ლოცვა-კურთხევით ისტუმრებს ყოვლად სათნო და საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანის ნეშტს. შემდეგ ჩეკურაშვილი შეეხო განსვენებულის ღვაწლს ქალაქის წინაშე და დიდის პატივით მოიხსენა ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სამსახური 1905 წელში, როდესაც ორი მეზობელი ერი ერთი-მეორეს დასდგომოდა და ძმათა სისხლი იღვრებოდა. ცხოვრებას მოევლინებიან ხოლმე ისეთი ძლიერი და მტკიცე ხასიათის პიროვნებანი, რომელნიც ხალხის ყურადღებას იმსახურებენ, და განსაკუთრებულ სათნოებისა გამო ყველა სიყვარულით შეჰყურებს და ენდობა, სჯერა მისი ყველაფერიო.

სიტყა წარმოსთქვა აგრეთვე გურამიშვილმა. მან აღნიშნა მოკლედ ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სამსახური საზოგადოებრივ ასპარეზზე. მოაგონა, რომ ჯერ ისევ 80 და 90 წლებში უხდებოდა განსვენებულს მოღვაწეობა და მაშინ კი არ ახსოვს თუ როგორ უარყოფით ეპყრობოდა ყველა საზოგადოებრივ ინიციატივას და სამსახურს. თავად-აზნაურთა სახელით მწუხარება ბამოაცხადა სასარგებლო ადამიანის დაკარგვის გამო. ეპისკოპოსმა გრიგოლმაც დაახასიათა განსვენებული. მან არ იცოდა არც ქართველი, არც რუსი, არც სომეხი და არც თათარი. ყველას ერთნაირად განურჩევლად ეროვნებისა ემსახურებოდაო. გრიგოლმა სიამოვნებით აღნიშნა რა მცხოვრებთა მიერ ესოდენი პატივისცემა განსვენებულისადმი, გვირგვინების მირთმევა, სთქვა, სამწუხაროა, რომ ამდენ გვირგვინებში არც ერთი ხატი არაა, არც ღვთისმშობლის ხატიო. მშვენიერი იყო, მგრძნობიერი და გაბედული ა. ი. ხატისოვის სიტყვა. გარდა იმისა, რომ მშვენივრად დაახასიათა განსვენებული, ხატისოვმა მიმართა ხალხს: „ტფილისის მოქალაქენო, შეჰფიცეთ მიცვალებულს სანამ ჯერ მიწა არ მიჰყრია, რომ თქვენ არ უღალატებთ იმ საქმეს, რომელსაც განსვენებული ემსახურებოდა — ქალაქის თვით-მართველობის გადემოკრატების საქმესაო. ხატისოვს ბოლოს გული შეუჩრქოლდა და წყლით მოაბრუნეს. სხვა ორატორების სიტყვებიც ახასიათებდა განსვენებულს. საღამოს 4 ნახ. საათზე მიცვალებული მიწას მიაბარეს და ყველა გულწრფელად დანაღვლიანებული—რომ სამუდამოდ გამოეთხოვენ კეთილ ადამიანს, თავდადებულს პატიოსან მუშაკს—გამობრუნდა უკან. განსვენებულის კუბოს ამკობდა დიდძალი გვირგვინები, რიცხვით 70 მეტი. ქალაქებისა, განმანათლებელ საზოგადოებათაგან, ვაჭართაგან, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან, ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან, რუსულ გაზეთ „კავკაზი“ და „ზაკავკაზიე“ და „კურიერ კავეიკისაგან“, სომხურ გაზეთებისაგან, ქალაქის მუშათაგან, ტრამვაის მუშებისაგნ და სხვა და სხვა.

მოგვყავს აქვე ბ. ხატისოვის და მერკვილაძის სიტყვები:

ა. ი. სატისოვის სიტყვა

(ვ. ნ. ჩერქეზიშვილის დასაფლავებაზე წარმოთქმული).

ტფილისის მოქალაქენო! დღეს ჩვენ მიწას ვაბარებთ ყველასათვის საყვარელ და პატივცემულ ქალაქის მოურავს ვასილ ნიკოლოზის ძეს ჩერქეზიშვილს. ათასი და ათი ათასი ქალი და კაცი მოვიდა აქ, რომ უკანასკნელი მოვალეობა მოეხადა განსვენებულის წინაშე. ყველამ ნახეთ, თუ როგორ ერთი მეორეს აცლიდა დაბებრებულ და დაკოჟრებულ ხელებით, რომ კუბო საუკუნო განსასვენებელ ადგილამდე მიეტანა. ეს იყო მშრომელი ხალხი, მუშები, ნოქრები, წვრილი მოსამსახურენი რომელთაც საშუალება ჰქონდათ შეემსუბუქებინათ პირადი ცხოვრება. ვასილ ნიკოლოზის ძეს ჰქონდა უნარი აღმოეჩინა ადამიანთა ტკივილები, რომ შემდეგ იარები განემთელებინა. რამდენჯერ უშუამდგომნია, უთხოვნია და უმუდარებია შეემსუბუქებინათ მათი ხვედრი, რომელნიც ასე თუ ისე რაიმე უბედურებაში ჩაცვივნულან. აგერ ეხლაც სასაფლაოს კარებთან გადმმცეს დებეშა შორეულ ციმბირიდან, საიდანაც განსვენებულს ატყობინებენ, შუამდგომლობა დაპატიმრებულის მდგომარეობის შესამსუბუქებლად შეწყნარებულ იქნა გუბერნატორის მიერო. ეხლაც კი, როცა უსულოდ კუბოს ასვენია თითქოს შვებას უგზავნის ტანჯულთ. მაგრამ რა უნდა გითხრათ ვასილ ნიკოლოზის ძეზე ისეთი, რაც თქვენ არ იცოდეთ, და არ გამოგეცადოთ? დღეს სამუდამოთ მიწას ვაბარებთ ამ ძვირფას ადამიანის გულს. გარდაიცვალა ვასილ ნიკოლოზის ძე! მოკვდა ფიზიკურად, მოკვდა ისე, როგორც ჰკვდებიან ყველა ადამიანები, დიად აზრის მატარებელნი, პოეზიის, ძლიერ სულისა და სიტყვის წარმომადგენელნი. დიაღ, ისინი კვდებიან, მაგრამ საქმენი მათი შვილიდან შვილზე გადასულნი, ცოცხალ არიან. იმიტომ არ შეიკრიბა ათასი და ათი ათასი კაცი, რომ სამარის კარამდე მიეცილებინა გვამი თუნდაც იდეალურად მშვენიერ ადამიანისა. არა! ეს ხალხი მოიზიდა იმ იდეებმა, რომლის შემომქმედათ ჩვენს წრეში ვასილ ნიკოლოზის ძე იყო. ამ იდეებით იყო განსვენებული ძვირფასი მთელ კავკასიისთვის. ყველას გახსოვთ 1905 წელი? მთელი ნაკადული ხალხის სურვილთა და წამებათა დაეტაკა თვითმართველობის სახლს და ვასილ ნიკოლოზის ძემ ხალვათათ გააღო კარები თვითმართველობის შენობისა და ამ მდინარემ არაფერი არ წალეკა იქ, არა გააფუჭა რა— რადგან ვასილ ნიკოლოზის ძის მოსიყვარულე ხელი საჭირო მიმართულებას აძლევდა ამ ნაკადს ზოგს საშუალებას აძლევდა თავისი სურვილი, მშვენიერ ფორმებში ჩამოსხმული, გამოეთქვა, ზოგს საჭმელითა და საზრდოთი ისტუმრებდა, ზოგს კეთილის გულითა, რჩევა დარიგებითა და არავინ არ მიდიოდა გულცივად—უმადლოდ. თითქოს თითონ ეძებდა ტანჯვა წვალებას და გაჭირვებას შემდეგ ხელი გაეწვდია მისთვის. ვასილ ნიკოლოზის ძემ შესძლო საქალაქო დებულების ვიწრო ჩარჩოების გაფართოება და დემოკრატიულ საფუძვლითა სულის ჩაბერვა. ამაშია მისი დიადი სამსახური ყველას წინაშე და ეს არა მარტო ამ ქალაქში, არამედ ამის გარედაც. ჩემს თვალში ეს იყო პირველი და უკეთესი მოქალაქე მთელს კავკასიაში და პირველი დემოკრატიული ქალაქის მოურავი ტფილისში. მეორე იდეა, რომელიც განსვენებულმა დაგვიტოვა—ეს იყო იდეა კავკასიის ხალხთა სოლიდაროობისა. ამ იდეას ემსახურებოდა ჩვენი ცხოვრების მეტად მძიმე წუთებშიც, ამიტომ ის ძვირფასია მთელი კავკასიისთვის განურჩევლად ეროვნებისა. შევითვისოთ ეს ორი იდეა, რომელიც განსვენებულმა დაგვიტოვა, და აქვე, ჯერედ გაუცოვებელ სამარის წინაშე, ფიცი დავდოთ, რომ ყოველს ჩვენს ნაბიჯში მივყვებით მათ განხორციელებას—მაშ ღირსნი არა ვყოფილვართ ბედნიერება გვქონოდა ამასთან ერთად გვემუშავნა. დაე ყოველი თქვენგანი, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას დაადგებოდეს, შეეკითხოს თავის თავს: როგორ მოიქცეოდა ამ შემთხვევაში ვასილ ნიკოლოზის ძე? იგლოვეთ მოქალაქენო, იგლოვეთ თქვენც განსვენებულის შვილებო. ეგ ცრემლი მოგვბანენ ჩვენ გულზე მოდებულ უმზგავსობის ჟანგს და ყოველ დღიურ ცხოვრების უფერულებას, რომელნიც ვასილ ნიკოლოზის ძეს არა ჰქონია. მშვიდობით საუკუნოდ, ძვირფასო ამხანაგო, მეგობარო და მას-

წავლებელო! ტფილისის ყველა მცხოვრებთა სახელით გემშვიდობები; შენი ხსოვნა აწ და მარადის უკუნითი უკუნეთამდე დარჩება ჩვენს გულში. მშვიდობით!

ი. მერკვილაძის სიტყვა.

ძვირფასო და კეთილის მეოფელო

ვასილ!

სულითა და გულით შეწუხებულმა და ღრმად მგლოვიარე ტფილისის წვრილმა ვაჭრებმა წარმომგზავნეს შენი პატიოსანი ცხედრის წინაშე რათა შევამკოთ იგი გვირგვინით და გამოვაცხადოთ ჩვენი და მთელი ტფილისის წვრილი ვაჭრების უღრმესი მწუხარება შენი ასე უდროოდ დაკარგვის გამო!

შენი სიკეთე, ყველგან და ყოველთვის ხალხისადმი თავ-დაუზოგველი სამსახური დაუვიწარი იქმნება სამარადისოდ.

კარგად გვახსოვს, ძვირფასო ვასილ, როდესაც ჩვენზედ მოზღვავებულს გასაჭირს ვეღარ დავსძლევდით, ტფილისის წვრილ-ვაჭართა წარმომადგენლები ხშირად მოგმართავდით შველისა და დახმარებისათვის—მეტადრე 1905 წლებში, როდესაც ჩვენი ქეყნის საძირკველი ფსკერამდინ შეინძრა და მომრაობის აზვირთებული ტალღები, კალაპოტიდგან გადმომსკდარი, აქეთ იქით ეხეთქებოდა და წინდამხვდართ ლეკავდა; როდესაც მთავრობის მკაცრი რეპრესიებით სავაჭრო დაწესებულებათა დაკეტვას, დატუსაღებას, გზავნა-გადასახლებას ანგარიში არა ჰქონდა, მომეტებულად სრულიად უდანაშაულო ხალხი ისჯებოდა, იჭლიტებოდა და აი მაშინ შენს მაღალსა და სპეტაკს სულსა და გულს მოსვენება აღარა ჰქონდა და როგორც კარგი მოჯირნახულე მამა შვილებისათვის, ისე მიჰქრიდი იქითკენ, საიდანაც ჩვენს გასანადგურებლად მომსკდარი ნიაღვარის ლექი წამოვიდოდა; ჩაერეოდი საქმეში და იმჯიათი იყო რომ გაჭირვებისათვის არ დაგეძლია და შეჭირვებულთა გული არ გესალმუნებინა.

ძვირფასო ვასილ! შენის მეცადინობით დღეს მრავალს სიცოცხლე აქვს შერჩენილი, მრავალი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულება განაგრძობს წარმოებას და მრავალი გზაკვალს გადაცთენილი—საქმეს დაბრუნებია და კეთილად განაგრძობს ცხოვრებას.

დღეს ყველა ეს მრავალი ათასი ადამიანი, რომელიც შემოხვევია შენს ცხედარს, და ვისაც კი სმენია სახელი და საქმენი შენნი, გლოვობენ და დასტირიან შენს უსულო გვამს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნეობისა, წოდებისა და რწმენისა, და ნატრობენ რომ შენისთანა სულით მაღალი, გულით სპეტაკი და უანგარო თავ-დადებული მოღვაწე არ მოაკლდეს ჩვენს დედა ქალაქს ტფილისს და ჩვენ ქვეყანას.

ძვირფასო ვასილ! შენ ემსახურებოდი ხალხს და მას შესწირე შენი თავი, შენ დღეს გაგვშორდი, მაგრამ არ მომკვდარხარ და მუდამ ცოცხალი იქნები შენი კეთილი საქმით ხალხის გულში.

„არ არის მკვდარი ვინც მოკვდეს,
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია“.

ფინლიანდიის კანონ-პროექტი

სახელმწიფო სათათფირო და საბჭოს მიერ მიღებული.

1) განსამარტებლად, შესაცვლელად, დასამატებლად და გასაუქმებლად ქვემდებარე დებულებათა, მათ შორის ფინლიანდიის შესახებ განსაკუთრებულ კანონმდებლობითი წესით გამოცემულთა (ძირ. კან. გამ. 1906 წ. მუხ. 2), დაედგინოს:

1. კანონები და დადგენილებანი რომელთა მოქმედება ვრცელდება ფინლიანდიის სამთავროზე, გამოიცემიან: 1) საერთო კანონმდებლობის წესით, თუ ეს კანონები მარტო ფინლადიის შინაურ საქმეებს არ ეხება და 2) საგანგებო კანონმდებლობის წესით (ძირ კამ. 1906 წ. მუხ. 2), თუ ეს კანონები ეხებიან მხოლოდ ფინლიანდიის შინაურ საქმეებს.

2) იმ წესით, რომელიც დადგენილია ფინლიანდიის საგანგებო მართვა-გამგეობით (ძირ. კან. გამ. 1906 წ. მუხ. 2), შეიცვლება და გამოცემა საერთო კანონმდებლობის წესით მის იმპერატორებით უდიდებულესობის თაოსნობით.

3) სახელმწიფოს ძირითად კანონებთან დამოუკიდებლად, აგრეთვე საერთო, კანონმდებლობით გამოცემულ სხვა კანონთა და დებულებათა, რომელთა ძალა ამ კანონის გამოცემამდე ფინლიანდიაზედაც ვრცელდებოდა, და აგრეთვე დაკანონებანი, რომელნიც სცვლიან და სულ ჰყოფენ გამოცემულ კანონებს, პირველ მუხლის პირველ ნაწილში ნაჩვენებ კანონებსა და დადგენილებებს ეკუთვნიან ისინი, რითაც განიმარტებიან:

1)ფინლიანდიის მონაწილეობა სახელმწიფო გასავალში და ამისთვის დაწესება ხარჯისა და გადასახადისა;

2) სამხედრო ბეგრის მოხდა ფინლიანდიის მცხოვრებთა მიერ, აგრეთვე მოხდა სხვა ბეგარისაც, რომელიც სამხედრო საჭიროებისათვის არის მიმართული;

3) ფინლიანდიაში მცხოვრებ არა ფინლიანდიის მოქალაქეთა რუსეთის ქვეშევრდომების უფლებანი;

4) ფინლიანდიაში უნდა სისრულეში იქნას მოყვანილი იმპერიის სასამართლოს დაწესებულებათა და მმართველ ორგანოთა განაჩენები, დადგენილებანი და მოთხოვნილებანი, აგრეთვე ამ დაწესებულებებში დადგენილი ხელშეკრულებანი და აქტები;

5) უფლებები, ვალდებულებანი და წესი ფინლიანდიაში საერთო საიმპერიო დაწესებულებათა და მმართველობის მოქმედებისა.

6) დადგინება სახელმწიფოს ინტერესების მიხედვით ფინლიანდიის სასამართლოს სისხლის სამართლისა და გასამართლების წესის კანონების გამოყოფისა;

7) უზრუნველყოფა სახელმწიფოს ინტერესებისა სახალხო განათლების საქმეში:

8) წესები საჯარო კრებებისა, საზოგადოებებისა და კავშირებისა;

9) უფლებანი და პირობანი იმ საზოგადოებათა და კავშირებისა ფინლიანდიაში მოქმედებისა, რომელნიც დამტკიცებულნი არიან იმპერიის სხვა ადგილებში;

10) კანონმდებლობა ფინლიანდიაში ბეჭდვითი სიტყვის შესახებ და შემოტანა საზღვარ-გარეთიდან ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა;

11) დამოკიდებულება ფინლიანდიისა და იმპერიის სხვა ადგილებისა საბაჟო დარგში;

12) დაცვა ფინლიანდიაში სავაჭრო და სამრეწველო ნიშნებისა და პრივილეგიებისა, აგრეთვე ლიტერატურულ და სამხატვრო საკუთრების უფლებისა;

13) ფულის სისტემა ფინლიანდიაში;

14) ფოსტა, ტელეფონი, ჰაერში ფრენა და ამგვარი მიმოსვლის საშვალებანი ფინლიანდიაში;

15) რკინის გზების საქმე ფინლიანდიაში, მისი დამოკიდებულება სახელმწიფოს დაცვის საქმეში, აგრეთვე მიმოსვლა ფინლიანდიასა და იმპერიის სხვა ადგილებ შორის, საერთაშორისო მიმოსვლა; რკინის გზის ტელეგრაფი;

16) სავაჭრო ნაოვსნობა ფინლიანდიაში;

17) უცხოელების უფლებანი ფინლიანდიაში;

4) შეცვლა და დამატება მესამე მუხლში მოყვანილ კანონებსა და დადგენილებათა ხდება საერთო კანონ-მდებლობის წესით.

5) კანონ-მდებლობითი მოსაზრებანი, ნაჩვენები მესამე მუხლის 1—17 განყოფილებაში, მინისტრებისა და მთავარ გამგეების მიერ შემუშავებული სანამდის მინისტრთა საბჭოში იქნება შეტანილი, უნდა წარედგინოს თვით მინისტრს ან მთავარ გამგის მიერ ფინლიანდიის სენატს აზრის გამოსათქმელად. ფინლიანდიის სენატს აზრის გამოსათქმელადვე გადაეცემა სხვა საქმეებიც, რომელსაც მინისტრთა საბჭო საჭიროდ დაინახავს. წესი ამ გადაცემისა ისეთივე არის, როგორც პირველ შემთხვევაში.

ასევე გადაეცემა სათანადო სამინისტროების და მთავარგამგეობის საშუალებით იმავ ფინლიანდიას გენერალ-გუბერნატორის ხელითვე ფინლიანდიის საიმპერატორო სენატის აზრის გამოსათქმელად ყველა იმ აზრებზე, რომელნიც ნაჩვენებია მე-3 მუხლის 1—17 განყოფილებაში და სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს კომისიის მიერ არის შემუშავებული. (დაწ. სიხ. საბ. გამოც. 1906 წ. მუხ. 56; დაწ. სახ. სათ., გამ. 1908 წ. მუხ. 57) გადაცემა ფინლიანდიის სენატს აზრის გამოსათქმელად სხვა, ფინლიანდიის შესახებ კანონპროექტებისა, რომელნიც შემუშავებულ არიან საბჭოსა და სათადბიროს კომისიების მიერ, თვით საბჭოსი და სახელმწიფო სათაბიროს საქმეა. ეს გადაცემა მოხდება სათადბიროსი და საბჭოს დადგენილებით, მხოლოდ სანამდის შესახები კანონ-პროექტი მიღებულ იქნება საერთო სხდომის მიერ. ძირ. კან. გამ. 1906 წ. მუხ.მე-110).

მინისტრებსა და მთავარ გამგეებს, აგრეთვე სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს შეუძლიანთ, როდესაც ფინლიანდია სენატის აზრის გამოსათქმელად გადასცემენ ამა თუ იმ კანონ-პროექტს. დაუნიშნონ განსაზღვრული ვადა, რომელის შემდეგ საქმე თავის გზით წავა, სენატის აზრის გამოუთქმელადაც.

ფინლიანდიის საიმპერატორო სენატის გამოთქმული აზრი გადაეცემა გენერალ-გუბერნატორს, რომელიც უგზავნის მინისტრს ან მთავარ-გამგეს. ხოლო ესენი გადასცემდენ საბჭოს ან სათათბიროს—ე. ი. ვინც მოითხოვა ამ განმარტებათა მიღება.

6) ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორისა და სენატის მიერ შემუშავებული წინასწარ განზრახვანი შესახებ პირველი მუხლის პირველ ნაწილში დასახელებულ კანონთა და დადგენილებათა გენერალ-გუბერნატორის საშვალებით შეტანილ უნდა იქმნას მინისტრთა საბჭოში.

7) კანონ-პროექტები, რომელნიც შეეხებიან ფინლიანდიის სეიმის განსახილველ საგნებს ანუ რომელნიც ეხებიან სეიმში გატარებულ ადგილობრივ ფინლიანდიის კანონებს, სანამ სახელმწიფო საბჭოს ან სახელმწიფო სათადბიროს წარედგინება (ძირ. კან. გა. 1906 წ. მუხ. 120), მინისტრთა საბჭომ უნდა წინასწარ გააცნოს ფინლიანდიის სეიმს აზრის გამოსათქმელად. გადაცემა ფინლიანდიის სეიმს აზრის გამოსათქმელად სხვა კანონ-პროექტებისა, რომელნიც ფინლიანდიას ეხებიან და რომელნიც მინისტრთა საბჭოში არიან წარდგენილნი, თვით მინისტრთა საბჭოსაგანაა დამოკიდებული და სწარმოებს იმავ ვადის დაცვით.

ფინლიანდიის შესახები კანონ-პროექტები, რომელზედაც მინისტრთა საბჭო არ დაეკითხა ფინლიანდიის სეიმს აზრის გამოსათქმელად, თანახმად სახელმწიფო საბჭოსა ან სახელმწიფო სათათბიროს დადგენილების თანხმად შეიძლება გადაეცეს ფინლიანდიის სეიმს აზრის გამოსათქმელად. ასეთი გადაცემა შეიძლება მოხდეს მხოლოდ, სანამ სახელმწიფო საბჭოს ამ სათათბიროს საერთო კრება მიიღებდეს ამ კანონ-პროექტს, ამისდა-მიხედვით, თუ რომელ საკანონმდებლო დაწესებულებაში იქმნა პირველად შეტანილი ეს კანონ-პროექტი (ძირ. კან. გამ. 1906 წ. მუხლ. 110). ამავე წესით გადაეცემა ფინლიანდიის სეიმს აზრის გამოსათქმელად ფინლიანდიის შესახები კანონ-პროექტები, რომელნიც შემუშავებულ არიან სახელმწიფო საბჭოს ან სახელმწიფო სათათბიროს წევრთაგან დაარსებულ კომისიების მიერ. (დაიწ. სახელ. საბ. გამ. 1906 წ. მუხ. 54; დაიწ. სახ. სათ., გამ. 1608 წ. მუხ. 57).

კანონ-პროექტები, რომელნიც უნდა გადაეცეს ფინლიანდიის სეიმს აზრის გამოსათქმელად, თანახმად მინისტრთა საბჭოსა, სახელმწიფო საბჭოს

ან სახელმწიფო სათათბიროს დადგენილებითა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ეცნობება სეიმს ფინლიანდიის გენერალ გუბერნატორის ხელით. სეიმის აზრი ამ წესით წარდგენილ კანონ-პროექტებზე უნდა გამოითქვას ამ მხრივ ან არა ჩვეულებრივ სესიის განმავლობაში, რომელის განსახილველად ეს კანონ-პროექტები წარედგინა. გამოთქმული აზრი ან დამატებანი მათთან ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის ხელით ეცნობება რუსულ ენაზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს რომელიც გამოთქმულ აზრს კუთვნილებისამებრ გადასცემს. თუ სეიმი თავის აზრს არ გამოსთქვამს დადებულ ვადაზე კანონ-პროექტი თავის გზით იქნება მიღებული ამ აზრის მიუღებლად.

8) პირველი მუხლის პირველი ნაწილში დასახელებული კანონები და დადგენილებანი გამოქვეყნდებიან უმართებელეს სენატის მიერ საზოგადოდ არსებულ წესით.

გამოცხადება ამ კანონისა. ფინლიანდიაში ხდება ადგილობრივ წესით, ფინლიანდიის გენერალ-ბუბერნატორის ზედამხედველობითა და განკარგულებით.

9) განმარტება და დადასტურება პირველ მუხლის პირველ განყოფილებაში ნაჩვენებ კანონთა და დადგენილებათა, აგრეთვე გადაწყვეტა ამ კანონთა და დადგენილებათა გამო აღძრულ ეჭვისა, საერთო კანონთა მიხედვით უმართებელესს სენატს ეკუთვნის. ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი თავის მხრივ ყოველივე ზომებს ხმარობს უმართებელესს სენატის ბრძანებათა საჭირო სისრულეში მოსაყვანად.

10) საერთო წესით გამოცემული კანონები და დადგენილებანი თავის თავად აუქმებენ ყველა მათთან შეუთანხმებელ ფინლიანდიის კანონებს და დადგენილებათ, რომელნიც საგანგებო წესებით არიან გამოცემულნი. (მუხ, 1, განს. 2) და აუცილებლად სავალდებულონი არიან მთავრობის ყველა (ადმინისტრატიულ, სასამართლო და სხვ.), აგრეთვე სათემო და კერძო დაწესებულებათა და პირთათვის, მიუხედავად ამ კანონებთან შეუთანხმებელ ადგილობრივ დაკანონებულ დებულებათა.

11. კანონები და დადგენილებანი, საგანგებო წესით გამოცემულნი (მუხ. 1, განს. 2), ვერ გააუქმებენ, ვერც შესცვლიან ან დაუმატებენ, ვერც შეაჩერებენ და განმარტავენ საზოგადო წესით გამოცემულ კანონთა და დებულებათ (მუხ. 1, განს. 1).

12. სახელმწიფოს საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს შემადგენლობაში ჩაირიცხონ ფინლიანდიის სამთავროს მცხოვრებთაგან ამორჩეული წევრნი, რომელნიც არჩეულ იქნებიან იმავ წესით, როგორც ეს სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს საზოგადო არჩევნებისათვის არის დაწესებული შემდეგი ცვლილებითა და დამატებით.

ა. სახელმწიფო საბჭოს არჩევნებისათვის.

1. ფინლიანდიის სეიმი ირჩევა ცხრა წლის ვადით ერთ წევრს სახელმწიფო საბჭოში იმ პირთაგან, რომელთაც უფლება აქვთ სეიმის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და რომელნიც აკმაყოფილებენ ქვემოდ მოყვანილ 2 მუხლის მოთხოვნილებას:

სახელმწიფო საბჭოს წევრის არჩევის დაწვრილებით წესს ადგენს სეიმი.

2. ფინლანდიის სამთავროში არ შეიძლება ამორჩეულ იქმნან გარდა იმ პირთა, რომელნიც ნაჩვენებია სახელმწიფო საბჭოს დაწესების მე-20 მუხლში (ვამ. 1906 წ. და გაგრ. 1908 წ.): 1) სამართალში მიცემულნი, იმ დანაშაულობათა ჩადენისათვის, რისთვისაც ადგილობრივ სისხლის სამართლის დებულების ძალით, მიესაჯება გამასწორებელ სახლში გაგზავნა ან დამნაშავეს მოქალაქობრივი ნდობა აეხდება, ან ღირსი არ იქნება სამთავროს რომელსამე სამსახურში ყოფნისა როდესაც სასამართლოს ისინი არ გაუმართლებია, თუნდაც გასამართლების შემდეგ ისინი სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლდენ ვადის გასვლისა გამო, უმაღლეს მანიფესტის წყალობით; 2) სამსახურიდან გადაყენებულნი ფინლიანდიის სასამართლოების განაჩენის ძალით — სამი წლის განმავლობაში, დღიდან სამსახურიდან გადაყენებისა, თუნდაც ვადის გასვლის გამო ისინი კიდეც განთავისუფლებულ იქნენ უმაღლესის მანიფისტით ან საგანგებო უმაღლესი ბრძანებით; 3) რომელთაც ბრალი ედებათ ამ მუხლის პირველ განყოფილებაში ნაჩვენებ დანაშაულობის ჩადენისათვის, ან იმ და-

ნაშაულობის ჩადენა, რასაც სამსახურიდან გადაყენება მოსდევს, 4) რომელთაც რუსული ენა არ იციან.

3) რაინდობა და თავად-აზნაურობა ფინლიანდიის დიდ სამთავროისა თავიანთ წრიდან ირჩევენ ორ ამომრჩეველს თავად-აზნაურთა საზოგადოებათაგან სახელმწიფო საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად (დააწ. სახ. საბ. გამ. 1906 წ. მუხ. 15).

4) ფინლიანდიის საიმპერატორო უნივერსიტეტის კონსისტორია ორდინალურ პროფესორთაგან ირჩევს სამს ამომრჩეველს სამეცნიერო აკადემიისა და უნივერსიტეტებისაგან სახელმწიფოს საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად (დააწ. სახ. საბ. გამ. 1906 წ. მუხ. 16).

5) ვაჭრები და მრეწველნი ფინლიანდიის სამთავროისა თავიანთ წრიდან სახელმწიფო საბჭოში მრეწველთა და ვაჭართა წარმომადგენლის ასარჩევად (დააწ. სახ. საბ. გამ. 1906 წ. მუხ. 17) ამოირჩევენ ორ ამომრჩეველს (ერთს ვაჭართაგანს ერთს—მრეწველთაგან). დაწვრილებით წესებს ამაზე ადგენს ფინლიანდიის საიმპერატორო სენატი ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის თანხმობით.

6. არჩევნების წარმოება (მუხ. 1 და 3—5, აგრედვე საჩივარი არჩევნების უკანონოდ მოხდენაზე და სეიმის ტალმანისა და ქვემდებარე საარჩევნო კრების თავმჯდომარეთა პასუხი ამ საჩივრებზე ერთი თვის განმავლობაში, დღიდან არჩევნების მოხდენისა, წარედგინება რუსულ ენაზე ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს, რომელიც კუთვნილებისამებრ დადგენილ წესით უდგენს საკაც ჯერ არს.

7) საჩივარი ამომრჩეველთა უკანონო არჩევნებზე იწერება ფინლანდიის სენატის სამეურნეო დეპარტამენტის სახელზე და საკითხი საბოლოოდ სწყდება ამ დეპარტამენტის საერთო კრებით.

(„სახ. გაზ.“)

ხალხის შესასწავლად

მას შემდეგ რაც ქართველ მწერლობას თვალყურს ვადევნებთ, თითქმის განუწყვეტლივ გაისმის ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ერთი და იგივე მოწოდება: დაეშურეთ სახალხო ნაწარმოების შეკრებას, ჩასწერეთ,—ვისაც შემთხვევა გეძლევათ,—არაკები, ლექსები, ლეგენდები, გამოცანები, დააკვირდით ხალხის ზნე-ჩვეულებას, სამართალს. შინაურ მოწყობილობას, ოჯახის გამგეობას, განსვენებული პეტრე უმიკაშვილი, პოეტი რაფიელ ერისთავი. ილია ჭავჭავაძე წინამორბედნი იყვნენ ხალხის შემოქმედებითი განძის შესწავლის და აღბეჭდის საქმეში. მათ მიყვნენ ფეხდაფეხ მრავალნი ცნობილნი მწერალნი: აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ნიკო და დავით ხიზანაშვილები, თ. რაზიკაშვილი, თავისუფალი სვანი და სხვანი. ამ ბოლო დროს ხმა აღიმაღლა კვლავ ამავე საგანზე ი. კარგარეთელმა და მიჰმართა ჩვენს სტუდენტობას საზაფხულო მოგზაურობით ისარგებლონ საერო წარმოების შესაკრებად ამ მოწოდების გამო დაწერილია ეს წერილიც.

მოსკოვში არსებულმა ადგილობრივ უნივერსიტეტის მფარველობის ქვეშ ქართული კულტურის მოყვარეთა წრემ განიზრახა დაავალოს თავის წევრებს თავისუფალი დრო საქართველოში მოახმაროონ ზეპირ სიტყვაობის მასალის შეკრებას, ხალხის ეკონომიურად გასაცნობად, ჩვეულებრივი უფლების გამოსარკვევად, ამ ფართო პროგრამის შესასრულებლად, რასაკვირველია, საჭიროა რაიმე სახელმძღვანელო, რომლის მიხედვით შესაძლო გახდეს ნაყოფიერად და სისტემატიურად მუშაობა. ამ მოსაზრებით წრემ დამავალა მივმართო ჩვენს საზოგადოებას ორნაირი თხოვნით პირველი შეეხება პროგრამმის გამოცემას, მეორე ზნეობრივ და მატერიალურ დახმარებას. პროგრამმა უკვე შედგენილია და დაბეჭდილიც იყო აკაკის ჟურნალის „კრებულში“. იგი შემუშავებულ იქმნა ჩემი წინადადებით და რედაქციით მოსკოველი სტუდენტების დახმარებით და ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა კრებულში 1899 წ. №№ 7, 8, 9 და 11 და 1890 წ. № 2. თავდაპირველად საჭიროდ დავინახეთ პროგრამმის ცალკე წიგნად გამოცემა, რათა ყველასთვის ხელმისაწდომი გავხადოთ. ამიტომ ვთხოვთ ჩვენს გამომცემლებს დაგვეხმარონ და ეს პროგრამმა დაგვიბეჭდონ უსასყიდლოდ დასარიგებლად. ამ პროგრამმით ისარგებლებენ სოფლის მასწავლებლები მღვდლები და საერთოდ ეთნოგრაფიის მოყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენი და მაძიებელნი

პროგრამმის გარდა ჩვენი ხალხის შემსწავლელს ესაჭიროება ზნეობრივი დახმარება ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ და გაუადვილონ მოგზაურობა და მასალის შეკრება. თავიდათავი სახსარი მიზნის მისაღწევად რა თქმა უნდა, მატერიალური საშვალება. ფულით დახმარებაც თითო ოროლა პირმაც აღგვითქვა; მაგრამ საკმარისი არ არის საქმის დასაწყობად და გასაძღოლად. ფონდის გასაძლიერებლად ამ ზაფხულს დასახელებული წრის წევრები გამართავენ წარმოდგენებს და იმედია ჩვენი საზოგადოება არ დაიშურებს თავისი წვლილს დიდებული საქმის წარსამართავად. თუ შეიკრიბა ოოტაოდნად საკმარისი თანხა, მომავალი წლიდან შეუდგებით სისტემატიურად შესწავლას როგორც ხალხის ზეპირ-სიტყვაობის, აგრეთვე მისი ეკონომიური და იურიდიული მდგომარეობისას. თანდათან საქმეს გავაფართოვებთ და გარდა აღნიშნული მხარეების შესწავლისა, შეუდგებით გრამოფონით ხალხური მუსიკალური ნაწარმოების შეკრებასაც. განზრახული საქმის კეთილად დაგვირგვინება დამოკიდებული იქნება ჩვენი საზოგადოების თანაგრძნობაზე და მონაწილეობაზე.

„სახალხო გაზეთი“

ქურნალ გაზეთთაგან

ქალთა უნივერსიტეტი იაპონიაში

იაპონიაში სახალხო განათლების საქმე საზოგადოთ კარგად არის დაყენებული, მაგრამ მეტად საყურადღებოა ქალთა უნივერსიტეტი ტოკიოში. ეს უნივერსი ეტი ბევრად განსხვავდება ევროპის ქალთა უმაღლ ს სასწავლებელთაგან. სკოლა შესისხლხორცებულ ა ცხოვრებასთან, იაპონიის ხალხის სოციალურ ვითარებასთან. იაპონელების შეხედულებით ქალები კარგი მეუღლე და დედები უნდა იყვნენ. ამიტომაცაა, რომ უმაღლეს სასწავლებელიც, საშვალოა და სახალხო დაბალი სკოლაც მიმართულია ისე, რომ ქალები ოჯახისათვის, ცხოვრებისათვის მოამზადონ. კარგი დედები და აღმზდელები გამოიყვანონ ჯერ ისევ 1885 წელში დაიბადა აზრი ქალთა უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. ქველმოქმედთა უხვ შეწირულების გამო განახორციელეს აზრი. 1901 წელში დაარსდა ტოკიოში ქალთა უნივერსიტეტი. სადაც 300 სტუდენტი ქალი სწავლობს. უნივერსტეტთანვე გაიხსნა ქალთა უმაღლესი კურსები, ისეთივე როგორიც ეხლა რუსეთშია—600 მსმენელისთვის უნივერსიტეტში 80 პროფესორია, შესანახი ფული კერძო შემოწირულებით გროვდება. თვით მიკადოს ოლი ერთ უხვ შემომწირველთაგანია.

ქალთა უნივერსიტეტი ისეა მოწყობილი, როგორც ვაჟთა უნივერსიტეტები—3 წლის კურსით. უნივერსტეტთან მოწყობილია საბავშო ბაღი და ქალთა პირველ დაწყებითი სკოლა. ორივე ეს უკანასკნელი დაწესებულება სტუდენტ ქალების პრაქტიკულ მუშაობისათვის არის დანიშნული. ვისაც საპედაგოგიო ასპარეზზე ჰსურს მოღვაწეობა ამ სახალხო სკოლაში და ბაღში პრაკტიკულად მოღვაწეობს, ქალთა კურსების პროგრამაში შედის კომერციულ მეცნიერებათა შესწავლა და აგრეთვე შესწავლა ყველა იმისა, რაც სამშობლო ქვეყნის მრეწველობას შეეხება, მაგრამ უნივერსტეტში უმთავრესი ყურადღება მიპყრობილი აქვს ქალების კარგ აღმზრდელ დედებად მომზადებს. ასწავლიან ლიტერატურას, საპედაგოგიო საგნებს, ფიზიკას, ფიზიკურ აღზრდას, მუსიკას, ხელოვნებას ხელსაქმეს და ყველაფერს, რაც ეხება სახლის მეოჯახეობას, მზარეულობასაც, ჩაის გაკეთების ცერემონიალსაც რომელსაც იაპონიის ცხოვრებაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ასწავლიან შვედურ გიმნასტიკის, სხვა და სხვა სათამაშოებსა და გასართობებს,

ასეთი სისტემა აღზრდისა მეტად ხელს უწყობს ქალებს მოხელეებად კი არ გახდენ, არამედ პირველ ყოვლისა კარგი დედები და მეოჯახეები იყვნენ.

ახალი ამბები და შენიშვნები

პეტერბურგი. სააგენტომ შემდეგი ცნობები მიიღო ხოლერის მსვლელობის შესახებ. პეტერბურგში დღე ღამეში ავად გახდა 83, გარდაიცვალა 23, ავად არის 439. წასრულ კვირას ბაქოში

ავად გახდა 86, გარდაიცვალა 33, მორჩა 19, ბერ-ლიჩევსკში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 25. ეპიდემიის გაჩენიდან მაზრაში ავად გახდა 86. კავ-კავში 8 ივლისიდან ავად 23, გარდაიცვალა 10. თერგის ოლქში ავად გახდა 518, გარდაიცვალა 203, ევპატორიაში 25 ივნისიდან ავად გახდა 8, გარდაიცვალა 4, მაზრაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, ქერჩში ავად გახდა 105, გარდაიცვალა 45, აკკერმანის მაზრაში ავად გახდა 1. კიევში ავად 84. გარდაიცვალა 23, გუბერნიაში ავად გახდა 189, გარდაიცვალა 161. ნიჟნინოვგოროდში ავად გახდა 64, გარდაიცვალა 11, გუბერნიაში ავად გახდა 64, გარდაიცვალა 28, ადესაში ავად გახდა 106. გარდაიცვალა 47, ორლოვის გუბერნიაში ავად გახდა 129, გარდაიცვალა 67, ელცაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2, სად. ლივნიში და ბრინსკში ავად გახდა თითო, პენზაში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 1, გუბერნიაში ავად გახდა 52, გარდაიცვალა 17. როსტოვის საგრადონაჩალიკოში ავად გახდა 137, გარდაიცვალა 36, რიბინსკში ავად გახდა 28, გარდაიცვალა 14, სამარაში და მის გუბერნიაში ავად გახდა 488, გარდაიცვალა 210, სევასტოპოლის საგრადონაჩალიკოში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 10, სიმბირსკში ავად გახდა 25, გარდაიცვალა 10, გუბერნიაში ავად გახდა 154, გმრდაიცვალა 65, სევასტოპოლში (გუბ.) ავად გახდა 28, გარდაიცვალა 12. ტამბოვის გუბერნიაში 8 ივლისს ავად გახდა212, გარდაიცვალა 54, იაროსლავში ავად გახდა 55, გარდაიცვალა 54, გუბერნიაში ავად გახდს 959, გარდაიცვალა 363, ხერსონში ავად 5, გარდაიცვალა 1, გუბერნიაში ავად გახდა 791, გარდაიცვალა 359, აკკერმანში ხოლერის საწინააღმდეგოთ აცრა ღაიწყეს. სანიტარულმა კომისიამ ჭები დაკეტა. კიევში სანიტარული კომისია შუამდგომალობს დაიკეტოს კიევის ახლოს ორი ბაზარი. ოდესაში უცხო გემების სააგენტომ ცირკულიარი გაუგზავნა საერთა შორისო სანიტარულ კომისიას, რომლითაც უკრძალავს ოდესიდან წყლის აღებას და ბარგის მიღებას. თუ აუცილებელი საჭიროება არაა ჯარს ნაპირზე არ უშვებენ. ოდესის სასანიტარო აღმსრულებელ კომისიამ დაადგინა დეზინფექცია გაუკეთოს პერესიპის რაიონს, აღკრძალოს შინაურ საქონლის გამოშვება, დაკეტოს ოდესა—ბახმაჩის გზა. სანოვაგე საწვრილმანოები, და გამოსცეს დადგენილებანი. პოლტავის საგუბერნიო საექიმო სასანიტარო კომისიამ დაადგინა გახსნას ოთხი ამბულატორია ავადმყოფთათვის.

პეტერბურგში ავად გახდა 81, გარდაიცვალა 18, ავად არის 498. კვირის განმავლობაში ალექსანდროვკაში ავად გახდა 210, გარდაიცვალა 113, ავად არის 154, ეპიდემიის გაჩენიდან ავად გახდა 1036, გარდაიცვალა 471. შიბროვის მაზრაში ავად გახდა 51, გარდაიცვალა 23, გოძელში ავად გახდა 63,გარდაიცვალა 14, პავლოგრადსკში ავად გახდა 51, გარდაიცვალა 23, ნიკოლაევსკში (სამარ.) 23 სოფელში ავად გახდა 105, გარდაიცვალა 54, ეპიდემიის გაჩენიდან მაზრაში ავად გახდა 186, გარდაიცვალა 89, დაბა ოპოშანში, ზენკოვის მაზრა, ერთი შემთხვევა იყო ხოლერით ავად გახდომისა. ყარსში ავად გაადა 11, გარდაიცვალა 6, ერევნის გუბ. გარდაიცვილა 5, ბუზულუკში რამდენიმე შემთხვევა იყო ყველანი გარდაიცვალნენ, ფხრაანში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1, რომანოვში და ბორისოგლებსკში ავად გახდა 2 მუშა, 1 გარდაიცვალა.

*** გაძლიერებული წესები კავკასიაში. დეპეშათა სააგენტო გვატყობინებს: 1910 წლის 4 სექტემბრამდე გაძლიერებულ დაცვის წესები დარჩება შავი ზღვისა, განჯისა და ერევნის გუბერნიებში გორის, დუშეთის, ბორჩალოს, თელავის, სიღნაღის თიანეთის, ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში თერგის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებში; ბათუმში და ბათუმის ოლქის კინტრიშის ნაწილში.

*** ქვაშვეთის ეკკლესიის შენობაზე მუშაობა თითქმის უკვე დამთავრდა მხოლოდ ზოგიერთ ალაგას შიგნით და გარეთ გამშვენება აკლია ეკკლესიის კანკელი მარმარილოსია, ხოლო მუშაობა ანდრეოლეტტისა, ხატები დახატა მხატვარმა გ. ფ. გრინევსკიმ, აღმოსავლეთის კარები და (ლიუსტრა) ქორკანდელი ბრინჯაოსია. ეს უკანასკნელი კეთდება მოქანდაკეს ი. ნიკოლაძის ესკიზის მიხედვით. ეკკლესიის კურთხევა განზრახულია მიმდინარე წლის აგვისტოში.

*** ხოლერა. ტფილისში უკვე ფეხს იკიდებს ხოლერა. ჯერ-ჯეროობით უფრო მდაბიო ხალხში

მძვინყარებს ამ ორ დღეში დიდძალი ხალხი ქალაქიდან სხვა ადგილებისაკენ გაეშურა სააგარაკოდ, მიდის ყველა, ვისაც კი შეძლება აქვს თავი დაახწიოს ამ საშინელს სენს. 2 ივლისს ხოლერით ავად გახდნენ: ოჰანეს ბუდაგისძე საგიანცი, სოფიო შაუკაშვილი, რომელიც უკვე გარდაიცვალა, ანასტასია დავითის ასული გურგენიძე, იოგან პალამი, თაქუა ჩიგიანისა, თევდორე გლადიშევი, ბარბარე ზურაბის ასული გურგენიძე, გიორგი გაბრიელის ძე ბეგიაშვილი, ელენა დავათის ასული ბაშარული, ანნა შპაკოვსკაიასი, ივანე სოტნიკოვი, კესარია ფარსადანის ასული ნიკოლაშვილი, ანნა ეოჟკოვსკაია, პეტრე ბაიანნიკოვი, თევდრე კოსოვსკი, შუშანიკა ჩიბუხჩიანცი, სტეფანე მიკლაშევი, თაქო გოზალოვისა და მისი შვილი სურენა, ებრაელი ოლლი, ნინა ალექსის ასული სამყურაშვილი, ნატალია ანდრიას ასული იორდანაშვილისა, მიხეილ აბრამოვი, ფირუზა ზოლოლიანცი, პორფილე ივანეს ძე ლეჟავა, მაიკო გლახას ძე ბეჟანაშვილი, ალექსანდრე ალექსის ძე საყურაშვილი, რომელიც გარდაიცვალა, ქერბალაი ნამზ-კიჩი, აიკანუშ ალანიანც და. კუხმა ბრუსენცოვი. ავადმყოფთა ბინებს შესაფერი დეზინფექცია უყვეს. ავად გახდნენ ხოლერით გუშინაც. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი ავადმყობს სახლში მალავენ და ამით საშინელ სენთან ბრძოლას აძნელებენ.

*** ფულის გასაგზავნი ულბი ბლანკების ადმოჩენა. ჩოხატაურის (ოზურგეთის მაზრა) საფოსტო განყოფილებაში აღმოუჩენიათ ფულის გასაგზავნი ბლანკების საკეთებლები, რომელებიც თვით ფოსტის მოხელენი ყოფილან. თურმე ისინი სწერდნენ ტყუილ ბლანკებს, გზავნიდნენ და იღებდნენ ფულსა. რამდენიმე ათი ათასი მანეთის ყალბი ბლანკი გაუკეთებიათ. გაჩხრეკის დროს ასობით დამზადებული ბლანკები იპოვეს. დამნაშავენი დაატუსაღეს.

*** ქართული გიმნაზიის შესახებ. როგორც მკითხველებმა იციან, სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება არ დართო ქართულ გიმნაზიაში მეოთხე კლასამდე ქალ ვაჟის ერთად სწავლა. ამ დღეებში ქართული გიმნაზიის ინსპექტორი. ა. მდივანი წარუდგა სენატორს ვატაცის და საქმის გარემოება მოახსენა. სენატორმა ვატაციმ თავისი პრინციპიალური თანხმობა გამოუცხადა ამ საქმის შესახებ და დახმარება საქმის სასურველად გადაწყვეტა აღუთქვა. „სახალ. კაზ.„

ბ. მდივანს გაუგონია, რომ ამერიკაში ქალ-ვაჟნი ერთად სწავლობენ და ჰგონია, რომ ჩვენნი ქალ-ვაჟნიც ამერიკელები არიან! ცხადათ უმტკიცებენ ჩვენს საზოგადოებას ჩვენი სტუდენტები და კურსისტკები ეკსკურსიის დროს, რომ სწორეთ ამერიკულად ირჯებიან!..

*** როგორც ლონდონიდან იტყობინებიან ქართულ საზოგადოებაში ცნობილმა ინგლისელმა ოლივერ უორდროპმა, რომელიც ინგლისის ელჩად იყო ჯერ კერჩში, ახლა კი ბუდაპეშტშია, ოქსფორდის უნივერსიტეტს 30,000 მანეთი შეწირა, ამ უნივერსიტეტთან ქართულ ენის კათედრის დასაარსებლად. როგორც ვიცით, ოლივერ უორდროპის დამ, რომელიც შარშან გარდაიცვალა, მარდეორი უორდროპმა მშვენივრად შეისწავლა ქართული ენა და ქართული კლასიკების ინგლისურ ენაზედ თარგმნას შეუდგა. მისმა ილ. ჭავჭავაძის „განდეგილის“ თარგმნამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის საზოგადოებაზედ. ქ-ნ უარდროპის უდროო გარდაცვალებამ ყველანი დააღონა, ვინც კი მას იცნობდა, ან ვისაც კი გაეგონა. ქართული ენის კათედრა ოქსფორდის უნივერსიტეტში საუკეთესო ძეგლია განსვენებულის ნათელი პიროვნების უანგარო მოღვაწეობისა, რითაც მან დაამტკიცა თავისი გულწრფელი სიყვარული საქართველოს დიად წარსულისა და თავისებური კულტურისადმი. ბ. უორდროპს ხსენებულ უნივესტეტისათვის აგრეედვე ქართული წიგნების ბიბლიოთეკაც შეუწირავს და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობასა სთხოვს, ყოველი ახალი ქართული გამოცემა ფასდადებით ჰგზავნოს მის სახელზე ოქს. ფორდის უნივერსიტეტის ქართულ ბიბლიოთეკისათვის.

ჩვენ გვწერდა ბ. ოლივიერ უორდროპი ბუდაპეშტიდან, რომ იგი სწირავს ოქსფორდის უნივერსიტეტს თავის დის წიგნთსაცავს და ითხოვს, რომ ქართული ენის კათედრა დაარსონ ოქსფორდის უნივერსიტეტშიო.

*** სემინარიის ძველ შენობის საკითხი მეტად არა სასურველ მდგომარეობაშია. 2 აგვისტოს გადაწყდება შენობის ბედ იღბალი. ამ დროსთვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა. შენობა ან უნდა გაიყიდოს, ან იჯარით გაიცეს. როგორც ვიცით, ეს შენობა საქართველოს სამღვდელოებას ეკუთვნის. სინოდი წინად წინადადებას აძლევდა ქართველ სამღვდელოებას ეს ძველი შენობა ხომ თქვენია და თქვენი, ახალი შენობაც თქვენ შეიძინეთო. ეხლა დრონი იცვალნენ. ძველი შენობის ბატონ პატრონი სემინარიის გამგეობაა. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებაზე სურვილი განუცხადებია ახლო მახლო სომეხ ვაჭრებს. სხვებს არავის შეუტანია განცხადება. 1875 წელს 35,000 მანეთს საიჯარო ფასს იძლეოდნენ ეხლა კი 15.000 მეტს არ იძლევიან თურმე. საინტერესოა რას ფიქრობს სამღვდელოება ამ შენობის საკითხის შესახებ?

გასაოცარი კითხვაა. სამღვდელოებას არა ვითარი ფიქრობა არ შეუძლია მარტო თავის უმ. წემსმთავროდ. ყველაფერი ამ სამღვდელოების მწყემსმთავრის სურვილზეა დამოკიდებული. ჩვენ კი გვსურს გავიგოთ: რაღას ფიქრობს საზოგადოება, რომელსაც ემსახურება და რომელსაც ეკუთვნის სამღვდელოება?..

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ, ზნეობაზე.

გარდამოსვლა სულისა წმიდისა.

> კურთხეულ ხარ შენ, ქრისტე ღმერთო ჩვენო, რომელმან ყოვლად ბრძნად მეთევზურნი გამოაჩინენ, მიფინე რა მათ ზედა ყოვლად წმიდა სული შენი, და მათ მიერ ყოველი სოფელი მოინადირე, კაცთ-მოყვარე, დიდება შენდა (ტროპ.)
>
> რაჟამს იგი გარდამოხდა, და ენანი შეურივნა, მიმოდაყვნა მაღალმან ნათესავნი, ხოლო აწ, რაჟამს ცეცხლისა ენანი განუყვნა, ერთბაშად მიიყვანა იგინი, ამისთვისცა ერთობით ვადიდებთ სულსა ყოვლად წმიდასა, თანასწორსა მამისა და ძისა. (კონდ.)

ქრისტეს ამაღლების მეათე დღეს მოციქულნი ერთათ იყვნენ. უცებ ზეცით შეიქმნა შუვილი, თითქო მომავალი სასტიკი ქარისა. ამ შუვილით აიმსო სახლი, რომელშიაც მოციქულნი იყვნენ. გამოჩნდნენ თითოზე ცეცხლის ენანი და ყოველსა მათგანს თითო ენა თავს დაადგა. ამ სახით აღივსნენ მოციქულნი სულითა წმიდითა დაიწყეს მათ სხვა-და-სხვა ენებზე ლაპარაკი, როგორც სული აგონებდა მათ. იმ დროს იერუსალიმში, ურიათა გარდა, იყვნენ სხვა-და-სხვა ქვეყნების ერნიცა, მაგ., რომაელნი, ეგვიპტელნი, მალამიტელნი, მიდნი და სხვა. როდესაც შეიქმნა შუვილი, შეიკრიბნენ ერნი და შეშფოთდნენ, რადგანაც ყოველს მათგანსა ესმოდა თავის ენაზე მოციქულების ლაპარაკი, ყველას უკვირდა და ერთმანეთს შეეკითხებოდნენ: „ყოველნი, ეს მოლაპარაკენი, განა გალილეველნი არ არიან? მაშ როგორ ესმის ყოველს ჩვენგანსა თვისი საკუთარი ენა?“ ასე ყოველნი ეჭვობდნენ, ჰკვიროობდნენ და კითხულობდნენ: „რას ნიშნავს ესა?“ ხოლო ზოგნი დაცინვით ამბობდნენ: „ამათ დაულევიათ ტკბილი ღვინო.“

მაშინ წარმოსდგა მოციქული პეტრე, აღიმაღლა ხმა და წარმოსთქვა: „კაცნო ურიანო და ყოველნო იერუსალიმში მცხოვრებნო! ყური უგდეთ ჩემ სიტყვებსა: იგინი მთვრალნი არ არიან, როგორც თქვენ ფიქრობთ. ეს არის აღსრულება იოელის წინასწარმეტყველებისა:

„და იქმნება უკანასკნელთა დღეთა, იტყვის ღმერთი უფალი, მივფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ხორციელსა და იწინასწარმეტყველებენ ძენი თქვენნი და ასულნი თქვენნი და ჭაბუკნი თქვენნი ხილვას იხილვენ და მოხუცთა თქვენთა ჩვენებით გამოვეცხადო. მონათა ჩემთა და მხევალთა ჩემთა ზედა მათ დღეთა შინა მოვფინო სულისაგან ჩემისა და იწინასწარმეტყველებენ. და უჩვენო ნიშნები ცათა შინა და სასწაულნი ქვეყანასა ზედა, სისხლი და ცეცხლი და არმური კვამლისა. მზე გარდაიქცეს ბნელად და მთვარე სისხლათ პირველად, ვიდრემდის მოიწეოდეს დღე უფლისა, დიდი და განჩინებული. და იყვეს, ყოველმან, რომელმან მოუწოდოს სახელსა უფლისასა სცხონდეს.“

ამის შემდეგ პეტრემ მიმართა სიტყვა ებრაელთადმი: „კაცნო ისრაიტელნო! ისმინეთ ესე სიტყვანი: იესო ნაზარეველი, განჩინებული ღვთისა მიერ თქვენდა მომართ ძალითა, ნიშნებითა და სასწაულებითა, რომელნიცა ღმერთმა ჰქმნა მის მიერ თქვენ შორის, როგორც თვით თქვენ იცით ღვთისა გარდაწყვეტილი ზრახითა და წინასწარ—ცნობითა, თქვენ მიიღეთ, და, დალურსმეთ რა უსჯულოთა ხელითა, მოჰკალით. მაგრამ ღმერთმა აღადგინა იგი და დახსნა სიკვდილის ბორკილნი, რადგანაც მას არ შეეძლო მისი შეპყრობა.. ესე იესო ღმერთმა აღადგინა, რისაც ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ. იგი ამაღლდა რა ღვთის მარჯვენითა, მიიღო მან მამისაგან აღთქმა სულისა წმიდისა, და მოჰფინა, რასაც თქვენ ხედავთ და რაც გესმით. დავითი არ ამაღლდა ზეცად, მაგრამ იგი ამბობს:“ რქვა უფალმან უფალსა ჩემსა: „დასჯედ მარჯვენით ჩემსა, ვიდრემდის დავხსნე მტერნი შენნი ქვეშე ფერხთა შენთა.“ „ასე, განაგრძო პეტრემ, მტკიცედ იცოდე, ყოველნო ხალხო ისრაილისაო, რომ ღმერთმა ჰქმნა ესე იესო უფლად და ქრისტედ, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით.“

ებრაელთა, მოისმინეს რა ესოდენ მხურვალე სიტყვა პეტრესი, უთხრეს მას და სხვათა მოციქულთა: „რა ვქმნათ ჩვენ, კაცნო, ძმანო!“

ხოლო პეტრემ მიუგო მათ: „შეინანეთ და ნათელ—იღოს თვითეულმა თქვენგანმა სახელითა იესო ქრისტესითა, მისატევებელად ცოდვათა, და მიიღებთ ნიჭსა სულისა წმიდისასა, ვინაიდგან თქვენ გეკუთვნით აღთქმა და შვილთა თქვენთა და ყოველთა შორეულთა, ვისაც მოუწოდს უფალი ღმერთი ჩვენი-“ მრავალი სხვა სიტყვებით იმოწმა პეტრემ, დაარიგა ერი და უთხრა: „იხსენით თავი თქვენი ამ გარყვნილ ნათესაობისაგან.“

იმ დღეს სამი ათას სულამდინ იქმნა ნათელღებული, იგინი შეუერთდნენ მორწმუნეთა. ყოველი სული მოცული იქმნა შიშითა. მრავალნი ნიშნები და სასწაულები ჰქმნეს მოციქულებმა იერუსალიმში. შემდეგ წარვიდნენ იგინი საქადაგებლად ყოველსა კუთხესა ქვეყნისასა. ყოველგან გაისმა ხმა მათი ზეციერი სწავლისა.

ეს სწავლა, ეს საუნჯეთა საუნჯე, ეს საზრდო უხრწნელებისა დაცულია ქრისტეს ეკკლესიაში. მაგრამ შვილნი მისნი მოკლებულნი არიან ამ სწავლასა. აი უბედურებათა უბედურება ამიტომ იგინი გატაცებულნი არიან მრავალ-გვარ ბიწიერების გზაზე... ჩვენ ვსწუხვართ მომატებულად თანამემაულე ქართველთათვის. ჩვენს ეკკლესიას არა ჰყავს, მაგ., რიგიანნი მკითხველნი ღვთის-მსახურების დროს, რომ ვინმემ შეგნებით შეისმინოს ცოტაოდენი რაიმე. არ ისმის აქ არც ხმა სწავლადარიგებისა, რომელიც საჭიროა მეტადრე ეხლა, როდესაც ასე ბლომად იხოცებიან სიტყვიერნი ცხოვარნი ბიწიერების მწარე სენითა... ქრისტიანე—ერი, ხორციელობის შიმშილზე მოჩივარი, სულითაც მშიერია. ორივ მხრივ შველა უნდა მას. ეს უნდა შეიგნონ მათ, ვინც მოვალენი არიან...

სასურველია, ფრიად სასურველია,რომ ჩვენი საყვარელი დედა—ეკკლესიის წიაღზე აღიზაერდნენ იმისთანა შვილნი, რომ შეიძლონ მათ მისი აღყვავება. ეს შესაძლებელია, უკეთუ იქმნება სარწმუნოება. ეს შესაძლებელია მისივე შემწეობითა, ვინც გამოაჩინა მეთევზენი ყოვლად—ბრძნად, როგორც გვაგონებს დღევანდელი ტროპარი,—ვინც მოჰფინა მათზედა ყოვლად წმიდა სული თვისი, და მათი ქადაგებითა ყოველი სოფელი მოინადირა, ე. ი., ცოდვისაგან განადირებული, გამხეცებული ადამიანის ბუნება ანგელოზებრივ ბუნებად გარდააქცია, ყოველ ადამიანში, რომელიც სარწმუნოებით შეჰლაღადებს მას: „კურთხეულ ხარ შენ, ქრისტე ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.“

შეგნებითი ქადაგება ზეციერი სწავლისა, სიყვარულით მოცული მხურვალე სიტყვა, ცოცხალი მაგალითით შემკული, მწველი გულისა ფრიად საჭიროა ცოდვისაგან განადირებული ადამიანისთვის.... მისი ბუნება მუდმივ საჭიროებს ზეციერ ნათელს, რომელიც არის სიტყვა ღვთისა. ამ სიტყვის კითხვას უნდა შეეჩვიოს ყოველი ქრისტიანე, რომ გონება მისი ნამდვილად განათლდეს, გული მობრილდეს, ნება კეთილზე დამყარდეს.

„რაჟამს იგი გარდამოხდა, და ენანი შეურივნა, მიმოდაყვნა მაღალმან ნათესავნი“... ამ საგალობელის შინაარსი ასეთია:

ძველ აღთქმაში ქამის ჩამომავლობამ დაიწყო აშენება ქალაქი ბაბილონისა და კოშკისა სიმაღლით ცამდინ. ეს ამაყური განზრახვა წინააღმდეგი იყო ღვთის წინაშე. მაშინ იგი, მაღალი ღმერთი, სამებით გარდამოხდა ზეცით და შეურია ენა მაშინდელ სამ ტომსა: სიმისა, ქამისა და იაფეტისას, რომელნიც ადვილად მონაწილეობდნენ შენობაში, ამიტომ რომ სამივე ტომი ერთ ენაზე ლაპარაკობდა. შეურია, ე. ი., ამ სამ ტომში თვითეულს ღმერთმა მისცა განსაკუთრებითი ენა ისე, რომ ერთ ტომსა მეორე ტომის ენა არ ესმოდა. ამ საშუალებით „მიმოდაყვნა მაღალმან ნათესავნი,“ ე. ი., დააშორა ერთმანეთს სამი ტომი ასე, რომ, რად, განც აღარ ესმოდათ მათ ერთმანანეთის ლაპარაკი, თავი დაანებეს შენობასა. ამის გამო იგინი ტომობით წავიდნენ ქვეყნის სხვა-და-სხვა მხარეს. შემდეგ, როგორც კაცობრიობა გამრავლდა, ასე ენებიც გამრავლდნენ იმ ძალითა, რომელიც ყოვლადძლიერმა შემოქმედმა დაანერგა ადამიანს ბუნებაში სიტყვა „ბაბილონი“ ნიშნავს: „შერევასა.“

ეს სასწაული მოხდა ძველი აღთქმაში. „ხოლო აწ (ახალ აღთქმაში) რაჟამს ცეცხლისა ენანი განუყვნა, (დაურიგა ღმერთმა მოციქულებს) ერთბაშად მიიყვანა იგინი (დაშორებულნი კაცობრიობის ტომნი სარწმუნოებით შეაერთა ღმერთმა) ამისთვისცა ერთობით (თანხმობით, მრავალ ენაზე) ვადიდებთ სულსა ყოვლად წმიდასა, თანასწორსა მამისა და ძისა“—ვადიდებთ ერთსა ღმერთსა სამ პიროვანსა, ანუ ღმერთსა სამებასა.

დიდ ხარ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი!..

ი. ბალუევი.

განცხადებანი.

იაკობ ვოგეგაშვილის წიგნები:

დედა-ენა, მეჩვიდმეტე გამოცემა, 278 ათასი. წიგნი სახელ-გაკეთებულია (рекомендована) სამინისტროსაგან მოწონებულია და სინოდისაგან. ფასი ყდით ორი აბაზი.

ბუნების-კარი. მეთორმეტე გამოცემა, 62 ათასი, სახელ-გაკეთებულია (рекомендована) სამინისტროსაგან, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო“, და მოწონებულია სინოდისაგან. ფასი ყდით ოთხი აბზი.

ჯოჯორი, მეთორმეტე გამოცემა, 60 ათასი. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან. ფასი ორი აბაზი.

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრებული, მეორე გამოცემა, 2,400 ცალი. მოწონებულია ორისავე უწყებისაგან. ფასი ექვსი შაური.

კუნწულა, ანუ კრებული რჩეულის მოთხრობებისა ევროპისა და რუსეთის მწერლებისა, 1,200 ცალი. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან. ფასი ორი აბაზი.

ივანანამ რა ჭქმნა? მოთხრობა, ცხრა სურათით, გამოცემა მესამე, 7,200 ცალი. ფასი ერთი შაური.

ხატის მიზეზი, მოთხრობა, 1,200 ცალი. ფასი ერთი შაური.

თავდადებულნი ქართველნი, მეორე სურათებიანი გამოცემა, 8,600 ცალი. ფასი 7 კაპ.

მოსაგლის მტველნი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები სურათებიანი გამოცემა, 2,400 ცალი. ფასი ერთი აბაზი.

ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, ისტორიული მოთხრობა, 6,000 ცალი, ორი სრუათით. ფასი ერთი შაური.

სხივი წარსულისა, ისტორიული ამბავი, 2,400 ცალი. ფასი ერთი შაური.

სასრაკო თავგადასავალი, 1,200 ცალი. ფასი ორი შაური.

ძირითადი უკუდმართობა, 1,200 ცალი. ფასი ერთი აბაზი.

აკიდო, ანუ კრებულის აყმაწვილო და სახალხო მთხრობათა, გამოცემა წიგნების გამომცემელის ქუთათურის ამხანაგობისა. ფასი სამი შაური.

„დედა-ენის“, „ბუნების-კარის“, „ძოკორისა“, „აკიდოსი“ და „Русское Слово“-ს გარდა ყველა სხვა აქ ჩამოთვლილი წიგნები რიცხვით თექვსმეტი ავტორს შეწირული აქვს წერა-კითხვის საზოგადოებისთვის.

ხატები და მხატვრობანი.

იმექონებიან პატარა იაფ-ფასიანი-ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის მაცხოვრის, იეერიის ღვთის-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდება ამასთან იმექონება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპიით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით ალმაშენებელისა ფ. თითოსი 5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზანს არ იხდის.

იმექონება აგრეთვე მრავალი პატარა გულ საკ-ლი ხატები ფერკადუვალი ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით ალმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობა სამ მან. ესეთი იმექონებიან ვერცხლისაც, ფასი 40 კ.

Дозволено Цензурою 30 Іюля 1910 года г. Кутаисъ
რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე,

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ.ბ. ლამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.